ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/17

დაბა ქედა, **28 ოქტომბერი, 2022 წელი**

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 12:55 საათზე

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 19;

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:
ვაჟა აბულაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი;
მოქალაქე - ვანო პაპუნიძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/17 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

28 ოქტომბერი, 2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/17 მორიგი სხდომა

მოქალაქეთა რეგისტრაციის ფურცელი

28 ოქტომბერი, 2022 წელი

№	სახელი,გვარი	პირადი №	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა	შენიშვნა
1	ვანო პაპუნიძე		579-26-26-87	[illegible]	
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					
11					
12					
13					
14					
15					
16					
17					
18					
19					
20					
21					
22					
23					
24					
25					

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ოქტომბრის №01-06/17 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძისა და ვაჟა ფშაველას ქუჩების გადაკვეთის ტერიტორიაზე, პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

ამირან ცინცაძემ განმარტა, რომ 2022 წლის 28 ოქტომბერს საკრებულოს კანცელარიაში ქედის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული იქნა „„ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და ითხოვა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეეტანათ ცვლილება აღნიშნული საკითხის დამატებასთან დაკავშირებით.

შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგში აღნიშნული საკითხის დამატებას:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი -0

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოდგენილი საკითხის დამატებით განახლებული დღის წესრიგის პროექტი წარუდგინა საკრებულოს წევრებს და დაყენა კენჭისყრაზე:

1. დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძისა და ვაჟა ფშაველას ქუჩების გადაკვეთის ტერიტორიაზე, პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

2. „„ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ოქტომბრის №01-06/17 მორიგი სხდომის დღის-წესრიგი წარმოდგენილი სახით.

აზრი გამოთქვეს:

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ განცხადება გააკეთა, ქედის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის პოლიტიკური ნიშნით განსხვავებასთან დაკავშირებით და ამის მაგალითად წარმოადგინა ფოტომასალა და მოიყვანა მაგალითი სოფელ მეძიბნაში 150 მეტრის სხვაობით ორი ინფრასტრუქტურული პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, მისივე განცხადებით ერთი პროექტი რომელსაც სამჯერ გაუგრძელეს ვადა და დასრულდა არის ქართული ოცნების წარმომადგენლის, ხოლო მის მეზობლად ნაციონალური მოძრაობის მომხრეს სამუშაოები შეუჩერეს, რის გამოც განვითარდა მეწყერული პროცესები. ,,დავით სირაბიძემ აღნიშნა, რომ მას, როგორც ერთ რიგით ახალგაზრდას გული შეტკივა ასეთ ფაქტებზე და მომხრეა მხარი დაუჭიროს ყველა კარგ ინიციატივას რასაც საკრებულოს სხდომაზე განიხილავენ, მაგრამ უმრავლესობის პოზიცია არის, რომ ოპოზიციურად განწყობილ მოქალაქეებს ხელი გადაუგრიხონ, ასეთი ქვეყანაა რუსეთი და მისივე თქმით არ უნდა რუსეთს დავემსგავსოთო.''

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რომან დავითაძემ განმარტა, რომ დღეს არაა ის დრო რომ მერიამ დაყოს მოსახლეობა პოლიტიკური ნიშნის მიხედვით, ფირმა რომელიც ასრულებდა სამუშაოებს ვადის გაგრძელების მიუხედავად ვერ შეძლო პროექტის დასრულება.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარემ დავით სირაბიძემ განაცხადა, რომ მისთვის არარეალურია 5000 ლარიანი სამი ტენდერის ჩავარდა მაშინ, როცა მუნიციპალიტეტის მერია 15000 ათას ლარს ხარჯავს ,,ღამის შოუს" ბენდის ჩამოყვანაში.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს არ იყო პოლიტიკური ნიშნით დაყოფა უბრალოდ მშენებელი ფირმა, რომელიც მონაწილეობდა აღნიშნულ ტენდერში ვერ დაასრულა სამუშაობი თუმცა აუცილებლად მოხდებოდა ამ პროექტის დასრულება.

დავით სირაბიძემ განაცხადა, რომ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" პროტესტის ნიშნად ტოვებდა სხდომას.

12:20 სთ სხდომა დატოვეს (დავით სირაბიძემ, ირაკლი მახარაძემ და მინდია არძენაძემ).

1. მოისმინეს: დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძისა და ვაჟა ფშაველას ქუჩების გადაკვეთის ტერიტორიაზე, პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის.

მომხსენებელმა ოთარ ხარაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძისა და ვაჟა ფშაველას ქუჩების გადაკვეთის ტერიტორიაზე, პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი № 95-95222221 10.08.2022 წელი) და განმარტა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია, „კულტურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტისა და ,,ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 06 ნოემბრის №25 დადგენილების შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილება ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების თაობაზე, თვალსაჩინო

ისტორიული პიროვნებების, ეროვნული გმირების, მწერლების, გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწეების, ან/და ქვეყნისა და ერის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პიროვნებების სახელის ხსოვნისა და უკვდავყოფის ან ისტორიული მოვლენის (ფაქტის) ხსოვნისა და უკვდავყოფის მიზნით. საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ, კომისიის სხდომაზე განიხილა და მიზანშეწონილად მიიჩნია საინიციატივო ჯგუფის მიერ ინიცირებული საკითხი - ,,დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძისა და ვაჟა ფშაველას ქუჩების გადაკვეთის ტერიტორიაზე, პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ", ინიცირებული და განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე. ბიუსტის დამზადებისა და განთავსების ხარჯები განხორციელდება საინიციატივო ჯგუფის მიერ, ხოლო ტერიტორიის კეთილმოწყობის, არქიტექტურული გეგმიური გადაწყვეტის, ადგილმდებარეობის რეკონსტრუქციის და სხვა რიგი კეთილმოწყობითი სამუშაოებისთვის თანხის მობილიზება მიზანშეწონილია ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს:

ვანო პაპუნიძემ მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს და დეპუტატებს მისი ძმის ღვაწლის დაფასებისათვის. მან აღნიშნა რომ ვახტან პაპუნიძე იყო აგრარიკოს-ეკონომისტი, ეკონომიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ის სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა სამეცნიერო და სახელმწიფო დაწესებულებაში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში აგრო-ეკონომიკური მეცნიერებისა და აჭარის რეგიონის განვითარებაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 16

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

(განკარგულება N:გ-95.95223011, 28.10.2022 წელი).

2. მოისმინეს: „„ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა რეზო თურმანიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „„ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის N 12-95223012-95, 28.10.2022 წელი) და განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106^1-ე და 106^5-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება წარმოდგენილ პროექტზე და განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე - ამირან

წულუკიძე) განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 04 ნოემბერი დღის 16:00 საათზე, ხოლო ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 07 ნოემბერი.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკრებულოს წევრებს, ფრაქციებს და კომისიებს მიმართა, მაქსიმალურად ჩართულიყვნენ ბიუჯეტის კორექტირების საკითხში, შენიშვნების არსებობის შემთხვევაში წარმოადგინონ მათი მოსაზრებები 3 ნოემბერს დღის 18 საათამდე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

(განკარგულება N:**გ-95.95223012**, 28.10.2022 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12:55 სთ-ზე სხდომა დასრულებულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:

საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა

და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **ჰამიდა ზოიძე**